

ა(ა)იპ თვითმმართველი ქ. ფოთის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის
2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

თვითმმართველი ქ. ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი“, დაფუძნდა 1997 წელს, საქართველოს კულტურის მინისტრის ბრძანების საფუძველზე. სასწავლებელი ახორციელებს ხალხური რეწვისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, პროფესიული განათლების არაფორმალურ პროგრამას. სასწავლებელში პროფესიის დაუფლება მიმდინარეობს სრული ზოგადი განათლების მიღების პარალელურად. ფუნქციონირებს 4 ფაკულტეტი: ხის მხატვრული დამუშავება, კერამიკა, მხატვრული ქსოვა (ხალიჩა, ფარდაგი, გობელენი), ტანსაცმლის მხატვრული დამუშავება. სწავლება სამწლიანია. ამჟამად, მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 50 ერთეულს. 2020 წლის თებერვალში (პანდემიამდე) სასწავლებელში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 250 ერთეულს.

სასწავლებელში მიმდინარეობს, როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობა. ინტენსიურად ტარდება გამოფენები, შემეცნებითი ღონისძიებები. სასწავლებლის მოსწავლეები მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში. არსებობის 24 წლის მანძილზე სასწავლებელმა აღზარდა და ხალხურ რეწვას აზიარა არაერთი ახალგაზრდა, რომლებიც დასაქმებულნი არიან, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. სასწავლებელში სწავლობენ სწავლას ჩამოცილებული, ობოლი, მზრუნველობას მოკლებული და შეზღუდულ უნარიანი მოზარდები, რომლებიც სახელოვნებო პროფესიებს ეუფლებიან საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით. სასწავლებელში პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა შესაბამისი განათლებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგი.

მიუხედავად პრობლემებისა სამხატვრო სასწავლებელში 2021 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- . 3-8 მარტისადმი მიძღვნილი პოსტერებისა და ხელთნაკეთი სამკაულების ონლაინ გამოფენა
- . 9 აპრილისადმი მიძღვნილი ხელთნაკეთი პოსტერების გამოფენა „ჩვენ გვტკივა 9 აპრილი“ 09.04.2021
- . 14 აპრილისადმი მიძღვნილი ხელთნაკეთი ასო-ბგერებისა და მხატვრული შრიფტის გამოფენა 14.04.2021
- . საზაფხულო პლენერი I-II კურსის მოსწავლეებისთვის 15-30 მაისი 2021 წ.
- . საგნები: ხატვა , ფერწერა მე 3 კურსის მოსწავლეთა შემაჯამებელი ნაშრომების გამოფენა/შეფასება 17. 04.2021
- . ლტოლვილთა დანიის საბჭოს GIZ-ის (GEO-000051-01) პროექტის ფარგლებში ჩატარდება , ტანსაცმლის დიზაინზე, ბატიკზე, თექაზე, ქარგვასა და პოლიმერულ თიხაზე მუშაობის შესასწავლი მოკლე ტრენინგ-კურსი ქ. ფოთში მცხოვრები ლტოლვილი ქალბატონებისთვის. 2021 წლის მარტი - მაისი.

- . შშვიდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პოსტერების გამოფენა (საგანი-შრიფტი) 21. 09. 2021
- . ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა 16. 11. 21
- . შშმ პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა 27. 11. 21
- . სტუდიის მოსწავლეთა საახალწლო ნამუშევრების გამოფენა 25.12.21
- . 1 სემესტრის შემაჯამებელი სესია 21/28.12/2021
- . მომდინარე პროექტი- ლტოლვილთა დანიის საბჭოს GIZ-ის (GEO-000051-01) პროექტის ფარგლებში ჩატარდება , ტანსაცმლის დიზაინზე, ბატიკზე, თექაზე, ქარგვასა და პოლიმერულ თიხაზე მუშაობის შესასწავლი მოკლე ტრენინგ-კურსი ქ. ფოთში მცხოვრები ლტოლვილი ქალბატონებისთვის. 2021 წლის მარტი - მაისი.

სამხატვრო სასწავლებელი საქმიანობას ანხორციელებს სასწავლებლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2020-2021 სასწავლო წლის სასწავლო გეგმის მიხედვით.

ა(ა)იპ აკაკი ჩხაიძის სახელობის ქ. ფოთის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის ბიუჯეტი 2021 წელს :

სასწავლებლის დირექტორი

მაია კორკელია